<u>**პროექტი**</u>

საქართველოს კანონი

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №23-24, 30.06.1998, გვ. 37) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის:

ა) „ხ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხ) მცირე ზომის მარანი – ღვინის საწარმო, რომლის წლიური წარმადობა 25 000 ლიტრ ღვინოს არ აღემატება;“;

ბ) ჰ^{20} ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{20}) ბუნებრივი ღვინო - ღვინო, რომელიც მიიღება ორგანული ყურძნის ტკბილის სპონტანური დადუღებით, დაუშვებელია ნებადართული ოპერაციებისა და ნივთიერებების გამოყენება, გარდა გოგირდის დიოქსიდისა, რომლის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 40 მგ/ლ-ს;“;

გ) ჰ^{51} ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ჰ^{52} და ჰ^{53} ქვეპუნქტები :

„ჰ^{52}) ნიშანდება – ალკოჰოლიანი სასმლის ეტიკეტზე ან ჭურჭელზე ან შეფუთვაზე სააგენტოს მიერ გაცემული ნიშნის (QR კოდი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სერტიფიცირებისა და ალკოჰოლიანი სასმლის შესახებ) დატანა.

ჰ^{53}) ორგანული ყურძენი - ორგანული პროდუქტებისადმი განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად მოყვანილი ყურძენი.“.

2. მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) ბუნებრივი ღვინო;“.

3. 33^{2} მუხლის:

ა) მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სავალდებულოა საქართველოში წარმოებული, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ალკოჰოლიანი სასმელის, საექსპორტოდ და ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე რეალიზაციისათვის განკუთვნილი ყველა კატეგორიის ღვინის ორგანოლეპტიკური შემოწმება, რომელსაც ახორციელებს სააგენტოსთან არსებული მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისია.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ ბუნებრივ ღვინოზე, რომელიც წარმოებულია მცირე ზომის მარანში.“ .

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^{1} და 6^{2} პუნქტები:

„6[1]. სარეალიზაციოდ განკუთვნილი, სერტიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმელის ნიშანდება სავალდებულოა.

6[2]. ალკოჰოლიანი სასმელის ნიშანდებას ახორციელებს სააგენტო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დადგენილი წესით.“.

4. 33[6] მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[7] და 1[8] პუნქტები:

,,1[7]. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა 2026 წლის პირველ ნოემბრამდე:

ა) გამოსცეს ბრძანება „ალკოჰოლიანი სასმელის ნიშანდების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ.“;

ბ) უზრუნველყოს შესაბამისი ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

1[8]. საქართველოს მთავრობამ, 2027 წლის 1 თებერვლამდე უზრუნველყოს სარეალიზაციოდ განკუთვნილი, სერტიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმელის ნიშანდების საფასურის განსაზღვრა.“.

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „**ჰ[52]**“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „**ჰ[52]**“ ქვეპუნქტი და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2027 წლის პირველი თებერვლიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**